2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 154 (2023: 164) თანამშრომელს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

| მესაკუთრე            | 2024 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | 2023 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით |
|----------------------|----------------------------------------|----------------------------------------|
| ალექსანდრე ედიბერიძე | 100%                                   | 100%                                   |

### 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

#### ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნა და სააღრიცხვო პოლიტიკა რომლის მიხედვითაც მომზადდა მის ფასს სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) განკუთვნილია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის. მცირე და საშუალო ზომის საწარმოები არიან სუბიექტები, რომლებიც:

ა) არ გააჩნიათ საჯარო ანგარიშვალდებულება;

ბ) აქვეყნებენ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას გარე მომხმარებლებისათვის;

მაგალითად, გარე მომხმარებლები შესაძლოა იყვნენ საწარმოს მესაკუთრეები, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ

საწარმოს საქმიანობის მართვაში, არსებული და პოტენციური კრედიტორები და საკრედიტო რეიტინგის სააგენტოები.

საწარმოს იმ შემთხვევაში გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება, თუ:

ა) მისი სავალ და წილობრივი ინსტრუმენტები იყიდება ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე, ან საწარმო იმყოფება ამგვარი ინსტრუმენტების გამოშვების პროცესში, ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე სავაჭრო მიზნებისთვის (როგორიცაა, ადგილობრივი ან უცხოური საფონდო ბირჟები, ან არასაბირჟო ფასიანი ქაღალდების (მეორადი) ბაზარი, როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონალური); ან

ბ) საწარმო განკარგავს აქტივებს, როგორც გარე სუბიექტების ფართო ჯგუფის ფიდუციარი, რაც საწარმოს ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს (ამ მეორე კრიტერიუმს დააკმაყოფილებს ბანკების უმეტესობა, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, ფასიანი ქაღალდების ბროკერები/დილერები, ერთობლივი (საინვესტიციო) ფონდები და საინვესტიციო ბანკები).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია იყენებს ისტორიული ღირებულების პრინციპს, სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკა და გამოყენებული პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ.

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია მსს ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინფორმაციის კლასიფიცირება ხდება მიმდინარე და გრძელვადიანობის საფუძველზე.

### ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

### ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ხარჯები, რომლებიც მონაწილეობენ მიწის გაუმჯობესებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად: საწვავის ხარჯები, ქიმიური ნივთიერებები, ხელფასის ხარჯები და ნიადაგის აღდგენისთვის გაწეული მომსახურების ხარჯები. ხარჯები აღიარებულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია. მიწის გაუმჯობესების პროცესიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელი განისაზღვრება 5 წლით.

საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

|                                               |              |
|-----------------------------------------------|--------------|
| შენობები                                      | 30 - 60 წელი |
| მიწის გაუმჯობესება                            | 5 წელი       |
| ნაგებობები                                    | 10 - 50 წელი |
| მანქანა დანადგარები                           | 8 - 15 წელი  |
| სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და სხვა საშუალებები | 2 - 20 წელი  |
| ოფისის აღჭურვილობა                            | 2 - 15 წელი  |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი                       | 2 - 20 წელი  |
| სატრანსპორტო საშუალებები                      | 8 - 15 წელი  |
| სხვა ძირითადი საშუალებები                     | 3 - 30 წელი  |

ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### არამატერიალური აქტივები

საოპერაციო კომპიუტერული პროგრამები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და დაგროვილ ამორტიზაციას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ამორტიზაცია ხდება მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების შვიდ წლამდე ვადის განმავლობაში, წრფივად წლიური 15%-იანი განაკვეთით. თუ არსებობს აქტივის ამორტიზაციის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ამორტიზაციის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

### არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ინდიკატორი. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის ნარჩენ ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ არაფინანსური აქტივის, გარდა გუდვილისა, გაუფასურების ზარალი მცირდება, აქტივის (აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება ახალ მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ არაუმეტეს იმ ღირებულებისა, რომელიც ამ აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო ამ აქტივისათვის (აქტივთა ჯგუფისათვის) გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის შემცირება აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი შეფასება. ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულების პირველადი შეფასება ხდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება თავისი არსით არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას კომპანიისთვის. შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა:

დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი;

თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, კომპანია ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

შემდგომი შეფასება. სავალო ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავალო ინსტრუმენტები რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შემდგომი შეფასება ხდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას.

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ფაქტორები ჩამოთვლილია ქვემოთ:

მსესხებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელები;

ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, პროცენტის ან ძირი თანხის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;

კომპანია, დებიტორის ფინანსურ სიძნელებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები.

გაუფასურების მაჩვენებელი შესაძლოა იყოს სხვა ფაქტორებიც, რაც აღწერილი არ არის ამ სააღრიცხვო პოლიტიკაში მაგრამ გულისხმობს კომპანიისთვის უარყოფითი ეფექტის მქონე მნიშვნელოვან ცვლილებებს ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც მსესხებელი ეწევა საქმიანობას.

### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის ფინანსური აქტივები, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებს.

### ანარიცხები და პირობითი აქტივები/ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ როდესაც, კომპანიას წარსული მოვლენების შედეგად სააღრიცხვო პერიოდისათვის აქვს ვალდებულება. შესაძლოა კომპანიის მიმართ გაჩნდეს მოთხოვნა, რომ გადაიტანოს თავისი ეკონომიკური სარგებელი და ვალდებულების მოცულობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ. ანარიცხები იზომება პრე- საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მოცულობის დღევანდელ ღირებულებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და კონკრეტული ვალდებულების რისკებს. ანარიცხების ზრდა, დროის გასვლის გამო, აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი. ანარიცხების აღიარება არ ხდება მომავალ საოპერაციო დანაკარგებზე.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები არ აღიარდება.

### სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს, სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღიარდება სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები.

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

### ბიოლოგიური აქტივები

კომპანიის ბიოლოგიური აქტივები შედგება ვენახის ნამყენებისაგან, რომლებიც წარმოდგენილია თვითღირებულებასა და დაგროვილ ცვეთა შორის სხვაობით. ამასთან, კომპანია ფლობს ერთწლიან ბიოლოგიურ აქტივებსაც.

კომპანია ბიოლოგიურ აქტივს და სოფლის მეურნეობის პროდუქციას აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- კომპანია აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად;
- მოსალოდნელია ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა, და
- ბიოლოგიური აქტივები აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით.

კომპანია ერთწლიანი ბიოლოგიური აქტივებისაგან მოსავლის მიღების მომენტისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციას აღიარებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

### შემოსავლის აღიარება

(ა) შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან

კომპანია შემოსავალს პროდუქციის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

(ბ) საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან

საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

### სახელმწიფო გრანტები

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები სამართლიანი ღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებით, რომელიც აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე, აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

### საოპერაციო ხარჯები

(ა) თანამშრომელთა სახელფასო და სხვა სარგებელი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის (დაზღვევა) დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება.

(ბ) იჯარა - საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით, კონტრაქტით გათვალისწინებული იჯარის ვადის განმავლობაში

### მიღებული სესხები

სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

### უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში ფასდება და აღირიცხება სამუშაო ვალუტაში გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ფასდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების თარიღის ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორის სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში. გაცვლითი კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

|                                                    | საქართველოს<br>ოფიციალური გაცვლითი კურსი | ეროვნული<br>ბანკის |
|----------------------------------------------------|------------------------------------------|--------------------|
|                                                    | აშშ დოლარი                               | ევრო               |
| გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 2.8068                                   | 2.9306             |
| გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 2.6894                                   | 2.9753             |

### მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

### მფლობელთა კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მეწილეების მიერ მის საკუთარ კაპიტალში შეტანილი თანხებისა და სხვა აქტივების შეტანის თარიღისთვის შეფასებულ რეალურ ღირებულებას.

### დივიდენდები

დივიდენდები აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

**შპს „ნობლექსი“**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

**3. ძირითადი საშუალებები**

|                                            | მიწა              | მიწის<br>გაუმჯობესება | შენობები           | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა<br>და სათადარიგო<br>ნაწილები | ავეჯი და<br>ინვენტარი | მანქანა<br>დანადგარე<br>ბი და<br>აღჭურვილი<br>ობა | ოფისის<br>აღჭურვი<br>ლობა | სატრანსპორტო<br>საშუალებ<br>ები | სასოფლო-<br>სამეურნეო<br>ტექნიკა | სხვა<br>ძირითადი<br>საშუალებ<br>ები | სულ                |
|--------------------------------------------|-------------------|-----------------------|--------------------|----------------------------------------------------------|-----------------------|---------------------------------------------------|---------------------------|---------------------------------|----------------------------------|-------------------------------------|--------------------|
| <b>საბალანსო ღირებულება</b>                |                   |                       |                    |                                                          |                       |                                                   |                           |                                 |                                  |                                     |                    |
| <b>2023 წლის 1 იანვარი</b>                 | <b>11,507,172</b> | <b>564,230</b>        | <b>13,002,352</b>  | <b>135,113</b>                                           | <b>2,193,068</b>      | <b>1,983,485</b>                                  | <b>982,635</b>            | <b>2,949,212</b>                | <b>6,057,101</b>                 | <b>615,564</b>                      | <b>39,989,932</b>  |
| შეძენა                                     | -                 | 593,778               | 161,664            | -                                                        | 108,192               | 30,981                                            | 183,190                   | 155,440                         | 189,020                          | 5,148                               | 1,427,413          |
| შიდა მოძრაობა                              | -                 | -                     | -                  | (66,053)                                                 | -                     | -                                                 | -                         | -                               | 66,053                           | -                                   | -                  |
| გასვლა                                     | -                 | -                     | -                  | -                                                        | (5,758)               | -                                                 | (18,083)                  | (54,842)                        | (211,259)                        | -                                   | (289,942)          |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>11,507,172</b> | <b>1,158,008</b>      | <b>13,164,016</b>  | <b>69,060</b>                                            | <b>2,295,502</b>      | <b>2,014,466</b>                                  | <b>1,147,742</b>          | <b>3,049,810</b>                | <b>6,100,915</b>                 | <b>620,712</b>                      | <b>41,127,403</b>  |
| შეძენა                                     | -                 | 308,098               | 16,630             | 2,668,991                                                | 77,811                | 191,052                                           | 73,842                    | -                               | 75,524                           | 16,990                              | 3,428,938          |
| გასვლა                                     | -                 | -                     | -                  | (575,284)                                                | (13,656)              | (185,214)                                         | (7,075)                   | (104,579)                       | (434,528)                        | -                                   | (1,320,336)        |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>11,507,172</b> | <b>1,466,106</b>      | <b>13,180,646</b>  | <b>2,162,767</b>                                         | <b>2,359,657</b>      | <b>2,020,304</b>                                  | <b>1,214,509</b>          | <b>2,945,231</b>                | <b>5,741,911</b>                 | <b>637,702</b>                      | <b>43,236,005</b>  |
| <b>ცვეთა და გაუფასურება</b>                |                   |                       |                    |                                                          |                       |                                                   |                           |                                 |                                  |                                     |                    |
| <b>2023 წლის 1 იანვარი</b>                 | -                 | <b>(47,539)</b>       | <b>(1,259,564)</b> | -                                                        | <b>(989,346)</b>      | <b>(775,542)</b>                                  | <b>(459,470)</b>          | <b>(1,157,158)</b>              | <b>(1,500,108)</b>               | <b>(393,547)</b>                    | <b>(6,582,274)</b> |
| ცვეთა წლის მანძილზე                        | -                 | (151,726)             | (274,909)          | -                                                        | (123,927)             | (116,552)                                         | (107,231)                 | (158,400)                       | (312,659)                        | (43,961)                            | (1,289,365)        |
| ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა          | -                 | -                     | -                  | -                                                        | 4,792                 | -                                                 | 17,973                    | 9,664                           | 107,235                          | -                                   | 139,664            |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>              | -                 | <b>(199,265)</b>      | <b>(1,534,473)</b> | -                                                        | <b>(1,108,481)</b>    | <b>(892,094)</b>                                  | <b>(548,728)</b>          | <b>(1,305,894)</b>              | <b>(1,705,532)</b>               | <b>(437,508)</b>                    | <b>(7,731,975)</b> |
| ცვეთა წლის მანძილზე                        | -                 | (285,834)             | (278,470)          | -                                                        | (126,504)             | (116,702)                                         | (121,856)                 | (159,332)                       | (303,396)                        | (38,611)                            | (1,430,705)        |
| ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა          | -                 | -                     | -                  | -                                                        | 13,648                | 533                                               | 6,300                     | 102,826                         | 327,692                          | -                                   | 450,999            |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>              | -                 | <b>(485,099)</b>      | <b>(1,812,943)</b> | -                                                        | <b>(1,221,337)</b>    | <b>(1,008,263)</b>                                | <b>(664,284)</b>          | <b>(1,362,400)</b>              | <b>(1,681,236)</b>               | <b>(476,119)</b>                    | <b>(8,711,681)</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>         |                   |                       |                    |                                                          |                       |                                                   |                           |                                 |                                  |                                     |                    |
| <b>2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>    | <b>11,507,172</b> | <b>516,691</b>        | <b>11,742,788</b>  | <b>135,113</b>                                           | <b>1,203,722</b>      | <b>1,207,943</b>                                  | <b>523,165</b>            | <b>1,792,054</b>                | <b>4,556,993</b>                 | <b>222,017</b>                      | <b>33,407,658</b>  |
| <b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>11,507,172</b> | <b>958,743</b>        | <b>11,629,543</b>  | <b>69,060</b>                                            | <b>1,187,021</b>      | <b>1,122,372</b>                                  | <b>599,014</b>            | <b>1,743,916</b>                | <b>4,395,383</b>                 | <b>183,204</b>                      | <b>33,395,428</b>  |
| <b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>11,507,172</b> | <b>981,007</b>        | <b>11,367,703</b>  | <b>2,162,767</b>                                         | <b>1,138,320</b>      | <b>1,012,041</b>                                  | <b>550,225</b>            | <b>1,582,831</b>                | <b>4,060,675</b>                 | <b>161,583</b>                      | <b>34,524,324</b>  |

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

კომპანიას გააჩნია სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებები 66,035 საწყისი ღირებულებით. (2023: 1,138,658). სს „ბაზისბანკთან“ და სს „საქართველოს ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად კომპანიამ დააგირავა მიწისა და შენობების ნაწილი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი წმინდა საბალანსო ღირებულება შეადგენდა: 19,015,952 ლარს (2023 წელი: 19,190,775 ლარი).

ხარჯები, რომლებიც მონაწილეობენ მიწის გაუმჯობესებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად: საწვავის ხარჯები, ქიმიური ნივთიერებები, ხელფასის ხარჯები და ნიადაგის აღდგენისთვის გაწეული მომსახურების ხარჯები. კომპანია გეგმავს ნიადაგის მომზადებას მარცვლეულის მოსაყვანად.

### 4. არამატერიალური აქტივები

|                                            | ლიცენზიები       | სხვა<br>არამატერიალური<br>აქტივი | სულ              |
|--------------------------------------------|------------------|----------------------------------|------------------|
| <b>საბალანსო ღირებულება</b>                |                  |                                  |                  |
| <b>2023 წლის 1 იანვარი</b>                 | <b>443,909</b>   | <b>99,786</b>                    | <b>543,695</b>   |
| შეძენა                                     | 89,902           | -                                | 89,902           |
| ჩამოწერა                                   | (135,104)        | 135,104                          | -                |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>398,707</b>   | <b>234,890</b>                   | <b>633,597</b>   |
| შეძენა                                     | 92,036           | 143                              | 92,179           |
| შიდა მოძრაობა                              | (82,393)         | -                                | (82,393)         |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>408,350</b>   | <b>235,033</b>                   | <b>643,383</b>   |
| <b>ამორტიზაცია</b>                         |                  |                                  |                  |
| <b>2023 წლის 1 იანვარი</b>                 | <b>(320,036)</b> | <b>(41,982)</b>                  | <b>(362,018)</b> |
| ამორტიზაცია წლის მანძილზე                  | (91,875)         | (20,402)                         | (112,277)        |
| ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ამორტიზაცია    | 73,802           | (73,802)                         | -                |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>(338,109)</b> | <b>(136,186)</b>                 | <b>(474,295)</b> |
| ამორტიზაცია წლის მანძილზე                  | (85,296)         | (17,979)                         | (103,275)        |
| ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ამორტიზაცია    | 82,393           | -                                | 82,393           |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>(341,012)</b> | <b>(154,165)</b>                 | <b>(495,177)</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>         |                  |                                  |                  |
| <b>2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>    | <b>123,873</b>   | <b>57,804</b>                    | <b>181,677</b>   |
| <b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>60,598</b>    | <b>98,704</b>                    | <b>159,302</b>   |
| <b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>67,338</b>    | <b>80,868</b>                    | <b>148,206</b>   |

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიცენზია წარმოადგენს პროგრამებს, რომელიც გამოიყენება საბუღალტრო აღრიცხვისთვის, ხოლო სხვა არამატერიალური აქტივი მოიცავს ვებგვერდსა და მომხმარებლის მოდულებს.

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

### 5. ბიოლოგიური აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბიოლოგიური აქტივების (მზარდი ნამყენი და მსხმოიარე ნამყენი) ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 83,753 ლარს (2023: 89,975 ლარი). 2024 წლის განმავლობაში ბიოლოგიურ აქტივებზე დარიცხულმა ცვთის ხარჯმა შეადგინა 6,647 ლარი (2023: 7,092 ლარი).

| ერთწლიანი ნარგავები                                                                                           | 2024      | 2023      |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|-----------|
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით</b>                                                     | -         | -         |
| ერთწლიანი ბიოლოგიური აქტივების თვითღირებულება                                                                 | (383,599) | (694,876) |
| მოსავლის მიღების მომენტიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება | 390,940   | 712,587   |
| წლის წმინდა შედეგი (ასახული მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში)                         | (7,341)   | (17,711)  |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                                                  | -         | -         |

### 6. საგადასახადო აქტივი

|                                                                                                           | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>მოკლევადიანი</b>                                                                                       |                   |                   |
| ბიუჯეტში ზედმეტობით გადახდილი თანხები                                                                     | 155,244           | 167,706           |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვის საფუძველზე წარმოშობილი დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლის უფლება. | 107,554           | 99,652            |
| <b>გრძელვადიანი</b>                                                                                       |                   |                   |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვის საფუძველზე წარმოშობილი დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლის უფლება  | 1,054,089         | 999,204           |
| <b>სულ საგადასახადო აქტივი</b>                                                                            | <b>1,316,887</b>  | <b>1,266,562</b>  |

2024 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი, რაზეც გადაიხადა მოგების გადასახადი 23,307 ლარის ოდენობით.

### 7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

|                                           | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საქონელი                                  | 26,142,265        | 28,793,543        |
| მარაგები გზაში                            | 607,730           | 351,484           |
| ნედლეული და მასალები                      | 494,165           | 433,744           |
| ბიოლოგიური აქტივის ნაყოფი                 | 1,238,881         | 254,511           |
| სხვა მარაგები                             | 31,060            | 40,466            |
| <b>სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები</b> | <b>28,514,101</b> | <b>29,873,748</b> |

მარაგები გზაში მოიცავს კომპანიის მიერ უცხოური მომწოდებლებისგან შესყიდულ მარაგებს. აღნიშნული მომწოდებლები კომპანიასთან თანამშრომლობენ ინკოთერმსის EXW პირობით დარეგულირებული ხელშეკრულების საფუძველზე, რაც გულისხმობს მყიდველისთვის ყველა რისკისა და ხარჯის დაკისრებას

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბერი  
(ქართულ ლარში)

საქონლის გამყიდველისგან დანიშნულების ადგილზე მიტანამდე. 2024 წელს ჩამოსაწერი და დეფექტური მარაგის ხარჯი შეადგენდა 587,454 ლარს.

საქონელი ძირითადად მოიცავს მცენარეთა მოვლის საშუალებებს, სარწყავ და სასათბურე დანადგარებს, აგრო ტექნიკასა და სასუქებს.

### 8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                                           | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-----------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                                        | 5,385,540         | 5,618,506         |
| <b>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებამდე</b>          | <b>5,385,540</b>  | <b>5,618,506</b>  |
| საექვო მოთხოვნების ანარიცხი                               | (881,654)         | (1,060,256)       |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ</b> | <b>4,503,886</b>  | <b>4,558,250</b>  |

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენილია:

|                             | სავაჭრო<br>მოთხოვნების<br>ანარიცხი |
|-----------------------------|------------------------------------|
| <b>1 იანვარი 2023</b>       | <b>(549,459)</b>                   |
| შემცირება წლის განმავლობაში | 300,328                            |
| დარიცხვა წლის განმავლობაში  | (811,125)                          |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>    | <b>(1,060,256)</b>                 |
| შემცირება წლის განმავლობაში | 642,369                            |
| დარიცხვა წლის განმავლობაში  | (463,767)                          |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>    | <b>(881,654)</b>                   |

### 9. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები მოიცავს მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილ თანხებს სასაქონლო მატერიალური მარაგების შესყიდვის მიზნით, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მარაგებზე გადაიხურება.

|                                             | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|---------------------------------------------|-------------------|-------------------|
| უცხოურ მომწოდებელზე გადახდილი ავანსები      | 2,946,199         | 1,129,012         |
| ადგილობრივ მომწოდებელზე გადახდილი ავანსები  | 192,722           | 236,688           |
| სადაზღვევო კომპანიისთვის გადახდილი ავანსები | 86,479            | 69,334            |
| <b>სულ გადახდილი ავანსები</b>               | <b>3,225,400</b>  | <b>1,435,034</b>  |

### 10. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                        | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|----------------------------------------|-------------------|-------------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში            | 51,921            | 39,233            |
| ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში             | 443               | 2,969             |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში        | 309,490           | 770,566           |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში         | 477,932           | 83,348            |
| ფული გზაში                             | -                 | 31,345            |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>839,786</b>    | <b>927,461</b>    |

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

2024 წლის განმავლობაში საბანკო ანგარიშებზე არსებულ უმოძრაო ნაშთებს ერიცხება სარგებელი წლიური 0,5%-დან 7%-მდე, რომელმაც შეადგინა 57,848 ლარი (2023: 56,534 ლარი).

### 11. კაპიტალი

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ალექსანდრე ედიბერიძე.

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა კაპიტალი შეადგენდა 2,000 ლარს (2023: 2,000 ლარი). კომპანიის დამფუძნებლის მიერ კაპიტალში პირველადი შეტანა განხორციელდა არაფულადი გზით 2005 წლის 16 თებერვალს.

კომპანიამ 2024 წელს გამოაცხადა და გაანაწილა დივიდენდი 493,991 ლარის ოდენობით.

### 12. მიღებული სესხები

|                      | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|----------------------|-------------------|-------------------|
| მოკლევადიანი სესხები | 20,686,086        | 19,134,511        |
| გრძელვადიანი სესხები | 6,710,296         | 8,531,775         |
| <b>სულ</b>           | <b>27,396,382</b> | <b>27,666,286</b> |

2024 წლის განმავლობაში მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 1,955,355 ლარს (2023: 2,054,898 ლარი)

ინფორმაცია მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივების შესახებ ნაჩვენებია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

სესხის ძირის მოძრაობა 2024 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                              | 2024              | 2023              |
|------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ნაშთი წლის დასაწყისში</b> | <b>27,529,765</b> | <b>24,912,987</b> |
| სესხის აღება                 | 39,474,982        | 26,282,175        |
| სესხის დაფარვა               | (39,592,604)      | (24,102,083)      |
| საკურსო სხვაობის ეფექტი      | (226,660)         | 436,686           |
| <b>ნაშთი წლის ბოლოს</b>      | <b>27,185,483</b> | <b>27,529,765</b> |

სესხის პროცენტის მოძრაობა 2024 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                              | 2024           | 2023           |
|------------------------------|----------------|----------------|
| <b>ნაშთი წლის დასაწყისში</b> | <b>136,521</b> | <b>98,290</b>  |
| დარიცხული პროცენტი           | 1,955,355      | 2,054,898      |
| სესხის დაფარვა               | (1,880,977)    | (2,018,833)    |
| საკურსო სხვაობის ეფექტი      | -              | 2,166          |
| <b>ნაშთი წლის ბოლოს</b>      | <b>210,899</b> | <b>136,521</b> |

**შპს „ნობლექსი“**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

ქვემოთ მოცემული მიღებული სესხები ხელშეკრულებების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| ხელშეკრულება                      | დაწყების<br>თარიღი | დასრულები<br>ს თარიღი | წლიური<br>საპროცენტო<br>განაკვეთი | ძირის<br>გადახდის<br>პერიოდულობა | პროცენტის<br>გადახდის<br>პერიოდულობა | ვალუტა | მოკლევად<br>იანი<br>ნაწილი | გრძელვ<br>ადიანი<br>ნაწილი | სულ               |
|-----------------------------------|--------------------|-----------------------|-----------------------------------|----------------------------------|--------------------------------------|--------|----------------------------|----------------------------|-------------------|
| 2019-12-03/0031/BSNE6/062464/032  | 12/10/2021         | 12/10/2029            | 8.19%                             | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ევრო   | 494,257                    | 2,867,913                  | 3,362,170         |
| 2021-09-27/0034/APMA3X/062464/036 | 9/28/2021          | 9/29/2025             | 11.50%                            | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ლარი   | 13,870                     | -                          | 13,870            |
| 2021-11-11/0013/CLNE/062464/040   | 11/25/2021         | 3/4/2025              | 8.59%                             | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ევრო   | 4,615,695                  | -                          | 4,615,695         |
| 2024-01-22/0073/CLN/062464/055    | 1/22/2024          | 4/3/2026              | 3.20%                             | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ევრო   | 5,275,080                  | -                          | 5,275,080         |
| 2024-01-25/0029/CLNVR/062464/057  | 1/25/2024          | 4/3/2026              | 10.50%                            | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ლარი   | 6,680,000                  | -                          | 6,680,000         |
| 2024-01-25/0035/BSNVR/062464/058  | 1/25/2024          | 1/29/2029             | 10.50%                            | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ლარი   | 252,004                    | 1,027,196                  | 1,279,200         |
| 2024-11-04/0014/BSN/062464/062    | 4/11/2024          | 5/11/2029             | 8.91%                             | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ევრო   | 154,128                    | 756,687                    | 910,815           |
| BOG GCLCA000418433 - 6664540      | 8/24/2020          | 8/23/2030             | 9.25%                             | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | დოლარი | 352,611                    | 2,058,501                  | 2,411,112         |
| 0159127.001-001                   | 3/6/2024           | 5/6/2025              | 8.50%                             | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ევრო   | 2,637,540                  | -                          | 2,637,540         |
| <b>მიღებული სესხები</b>           |                    |                       |                                   |                                  |                                      |        | <b>20,475,185</b>          | <b>6,710,296</b>           | <b>27,185,482</b> |
| გადასახდელი პროცენტი              |                    |                       |                                   |                                  |                                      |        | 210,900                    | -                          | 210,900           |
| <b>სულ</b>                        |                    |                       |                                   |                                  |                                      |        | <b>20,686,085</b>          | <b>6,710,296</b>           | <b>27,396,382</b> |

**შპს „ნობლექსი“**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

ქვემოთ მოცემული მიღებული სესხები ხელშეკრულებების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| ხელშეკრულება                        | დაწყების<br>თარიღი | დასრულების<br>თარიღი | წლიური<br>საპროცენტო<br>განაკვეთი | პირის<br>გადახდის<br>პერიოდულობა | პროცენტის<br>გადახდის<br>პერიოდულობა | ვალუტა | მოკლევადიანი<br>ნაწილი | გრძელვადიანი<br>ნაწილი | სულ               |
|-------------------------------------|--------------------|----------------------|-----------------------------------|----------------------------------|--------------------------------------|--------|------------------------|------------------------|-------------------|
| 2021-11-10/0030/CLNVR/062464/038    | 25/11/2021         | 31/01/2024           | 12.0%                             | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ლარი   | 1,400,000              | -                      | 1,400,000         |
| 2021-11-11/0013/CLNE/062464/040     | 25/11/2021         | 4/3/2025             | 8.0%                              | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ევრო   | 2,963,596              | 2,987,004              | 5,950,600         |
| 2022-12-01/0009/CLNE/062464/044     | 1/12/2022          | 31/01/2024           | 8.0%                              | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ევრო   | 2,975,300              | -                      | 2,975,300         |
| 2022-12-01/0018/CLNVR/062464/048    | 1/12/2022          | 31/01/2024           | 13.5%                             | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ლარი   | 1,000,000              | -                      | 1,000,000         |
| 2021-11-10/0037/AGRO-NBG/062464/039 | 25/11/2021         | 25/11/2024           | 12.0%                             | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ლარი   | 578,234                | -                      | 578,234           |
| 2022-11-07/0008/DEPB/062464/043     | 7/11/2022          | 22/01/2024           | 1.0%                              | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ევრო   | 3,867,890              | -                      | 3,867,890         |
| 2021-09-27/0034/APMA3X062464/036    | 28/09/2021         | 29/09/2025           | 11.5%                             | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ლარი   | 16,591                 | 14,041                 | 30,632            |
| 2019-12-03/0031/BSNE6/062464/032    | 10/12/2019         | 10/12/2029           | 8.6%                              | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ევრო   | 610,783                | 3,300,096              | 3,910,879         |
| 2023-01-25/0021/CLN/062464/053      | 25/01/2023         | 25/01/2024           | 7.0%                              | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ევრო   | 2,975,300              | -                      | 2,975,300         |
| 2023-01-25/0015/CLN/062464/052      | 25/01/2023         | 25/01/2024           | 13.2%                             | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | ლარი   | 2,228,900              | -                      | 2,228,900         |
| BOG GCLCA000418433 - 6664540        | 24/08/2020         | 23/08/2030           | 9 %                               | გრაფიკით                         | ყოველთვიური                          | დოლარი | 381,396                | 2,230,634              | 2,612,030         |
| <b>მიღებული სესხები</b>             |                    |                      |                                   |                                  |                                      |        | <b>18,997,990</b>      | <b>8,531,775</b>       | <b>27,529,765</b> |
| გადასახდელი პროცენტი                |                    |                      |                                   |                                  |                                      |        | 136,521                | -                      | 136,521           |
| <b>სულ</b>                          |                    |                      |                                   |                                  |                                      |        | <b>19,134,511</b>      | <b>8,531,775</b>       | <b>27,666,286</b> |

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბერი  
(ქართულ ლარში)

### 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                          | 31 დეკემბერი 2024  | 31 დეკემბერი 2023  |
|------------------------------------------|--------------------|--------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                    | (3,180,374)        | (3,944,377)        |
| ვალდებულებები პერსონალის მიმართ          | (20,539)           | (9,611)            |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>(3,200,913)</b> | <b>(3,953,988)</b> |

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს მომწოდებლებზე პროდუქციის სანაცვლოდ გადასახდელ თანხებს.

### 14. მიღებული ავანსები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსები შეადგენდა 908,174 ლარს (2023: 585 125 ლარი), რომლებიც მოიცავს მომხმარებლების მიერ სასოფლო-სამეურნო ტექნიკის/პროდუქციის სანაცვლოდ წინასწარ გადახდილ თანხებს.

### 15. შემოსავლები

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს შემდეგი საქონლის რეალიზაციას:

|                                                  | 2024              | 2023              |
|--------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მცენარეთა დაცვის შედეგად მიღებული შემოსავლები    | 24,500,205        | 19,855,399        |
| სასოფლო-სამეურნო ტექნიკა                         | 9,436,539         | 13,594,185        |
| სასუქი                                           | 8,366,522         | 10,894,091        |
| სათესლე მასალა                                   | 3,470,805         | 3,081,965         |
| საირიგაციო სისტემები                             | 1,099,528         | 1,310,386         |
| სასათბურე ინვენტარი და სხვა მასალები             | 640,116           | 692,046           |
| სპეციალიზირებული აღჭურვილობა (ვენახის ინვენტარი) | 327,864           | 735,889           |
| სხვა                                             | 5,603,247         | 5,598,224         |
| <b>სულ შემოსავალი რეალიზაციიდან</b>              | <b>53,444,826</b> | <b>55,762,185</b> |

### 16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

|                                                  | 2,024             | 2023              |
|--------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| შესყიდული მარაგები                               | 39,201,527        | 43,751,551        |
| მარაგების ჩამოწერა                               | 1,405,821         | 759,702           |
| მომსახურების ხარჯი                               | 29,624            | 95,138            |
| <b>სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b> | <b>40,636,972</b> | <b>44,606,391</b> |

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბერი  
(ქართულ ლარში)

### 17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                                      | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ხელფასები                                            | 5,269,670         | 5,224,138         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                 | 1,540,627         | 1,408,734         |
| მარაგების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე | 587,454           | -                 |
| საგადასახადო ხარჯი                                   | 585,079           | 644,046           |
| საწვავის ხარჯი                                       | 280,487           | 389,786           |
| ავტოტექნომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯი   | 232,983           | 395,185           |
| კომუნალური ხარჯი                                     | 218,971           | 219,217           |
| ბანკის საკომისოს ხარჯი                               | 193,540           | 162,636           |
| თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი                         | 190,826           | 426,554           |
| საკონსულტაციო და სხვა პროფესიული სერვისის ხარჯი      | 171,679           | 202,164           |
| როიალტი                                              | 167,156           | 60,021            |
| დაზღვევის ხარჯი                                      | 164,317           | 165,213           |
| იჯარის ხარჯი                                         | 154,002           | 89,948            |
| დაცვის ხარჯი                                         | 102,525           | 99,006            |
| წარმომადგენლობითი ხარჯები                            | 73,414            | 74,243            |
| საკომუნიკაციო ხარჯები                                | 70,875            | 78,103            |
| მივლინების ხარჯები                                   | 66,888            | 97,799            |
| საკანცელარიო ხარჯები                                 | 11,357            | 16,233            |
| ცვლილება საექვო მოთხოვნების ანარიცხებში              | (178,602)         | 510,797           |
| უსასყიდლოდ მიწოდების ხარჯი                           | -                 | 148,228           |
| სხვა საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯები                | 485,448           | 556,818           |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b>         | <b>10,388,696</b> | <b>10,968,869</b> |

### 18. რეალიზაციის ხარჯი

|                              | 2024           | 2023             |
|------------------------------|----------------|------------------|
| სარეკლამო ხარჯი              | 288,032        | 1,003,365        |
| ტრანსპორტირების ხარჯი        | 84,530         | 73,237           |
| მიწოდების ხარჯი              | 12,931         | 28,201           |
| <b>სულ რეალიზაციის ხარჯი</b> | <b>385,493</b> | <b>1,104,803</b> |

### 19. სხვა საოპერაციო შემოსავლები

|                                                    | 2024             | 2023             |
|----------------------------------------------------|------------------|------------------|
| მომწოდებლისგან მიღებული ფასდათმობა                 | 1,765,245        | 1,429,945        |
| უსასყიდლოდ მიღებული სასაქონლო მატერიალური მარაგები | 73,039           | 37,867           |
| სხვა შემოსავალი                                    | 207,086          | 124,997          |
| <b>სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები</b>             | <b>2,045,370</b> | <b>1,592,809</b> |

აღნიშნული ფასდათმობა არაა დაკავშირებული შეძენის პირობებთან. ეს ფასდათმობა დაკავშირებულია რეალიზაციის პირობების შესრულებასთან. იმ შემთხვევაში თუ სასურველი რეალიზაციის ოდენობა დადგება, კომპანია იღებს ფასდათმობას. ფასდათმობის ოდენობა განისაზღვრა წლის ბოლოს, წინასწარ განსაზღვრული პირობების შესრულების შედეგად.

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

მომწოდებლისგან მიღებული ფასდათმობა დაანგარიშდება კონკრეტული პროდუქციის შეძენიდან და რეალიზაციიდან. ფასდათმობის პროცენტი განსხვავდება შეძენის და რეალიზაციის მოცულობების მიხედვით.

სხვა შემოსავალი ძირითადად მოიცავს სასამართლო პროცესების კომპანიის სასარგებლოდ მოგების შედეგად მიღებულ ფულად თანხებს.

### 20. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

|                                                                                                               | 2024           | 2023          |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------|---------------|
| მოსავლის მიღების მომენტიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის დანახარჯების შემცირებული რეალური ღირებულება | 390,940        | 712,587       |
| ერთწლიანი ბიოლოგიური აქტივების თვითღირებულება                                                                 | (764,261)      | (694,876)     |
| სახელმწიფო გრანტი                                                                                             | 49,912         | 49,912        |
| ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება/(ზარალი)                                                       | 212,171        | 33,925        |
| ძირითადი საშუალების ჩამოწრა                                                                                   | (776)          | (902)         |
| პროცენტის სუბსიდირება                                                                                         | 34,187         | -             |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები                                                                                | 580,254        | 89,441        |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები                                                                                    | (53)           | (105,761)     |
| <b>სულ წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი</b>                                                                    | <b>502,374</b> | <b>84,326</b> |

\* სახელმწიფო გრანტი მიღებულია FAO Support to Georgian Agricultural Sector Under ENPARD III ფარგლებში. სახელმწიფო გრანტის მოძრაობა ნაჩვენებია ქვემოთ:

|                                                                 |                |
|-----------------------------------------------------------------|----------------|
| <b>სახელმწიფო გრანტის მთლიანი მოცულობა (ა)</b>                  | <b>498,034</b> |
| ძირითადი საშუალების აყვანის თარიღი (ბ)                          | 4/6/2021       |
| ძირითადი საშუალების ცვეთის დასრულების ვადა (გ)                  | 4/6/2031       |
| გასული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო (დ)                          | 31-12-2021     |
| გასული წლის ასაღიარებელი გრანტის მოცულობა (ა/(გ-ბ))*(დ-ბ+1))    | 28,775         |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2021</b>                                  | <b>469,259</b> |
| მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო (დ)                       | 31-12-2022     |
| მიმდინარე წლის ასაღიარებელი გრანტის მოცულობა (ა/(გ-ბ))*(დ-ბ+1)) | 49,912         |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2022</b>                                  | <b>419,347</b> |
| მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო (დ)                       | 31-12-2023     |
| მიმდინარე წლის ასაღიარებელი გრანტის მოცულობა (ა/(გ-ბ))*(დ-ბ+1)) | 49,912         |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2023</b>                                  | <b>369,435</b> |
| მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო (დ)                       | 31-12-2024     |
| მიმდინარე წლის ასაღიარებელი გრანტის მოცულობა (ა/(გ-ბ))*(დ-ბ+1)) | 49,912         |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2024</b>                                  | <b>319,523</b> |

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

### 21. კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული წმინდა მოგება/(ზარალი)

|                                                                    | ფული და<br>ფულის<br>ექვივალენ<br>ტები | სავაჭრო<br>და სხვა<br>მოთხოვ<br>ნები | სავაჭრო და<br>სხვა<br>ვალდებულ<br>ებები | მიღებულ<br>ი სესხები | სულ 2024      |
|--------------------------------------------------------------------|---------------------------------------|--------------------------------------|-----------------------------------------|----------------------|---------------|
| კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება                              | 228,571                               | 879,687                              | 1,154,596                               | 1,780,466            | 4,043,320     |
| კურსთაშორისი სხვაობით მიღებული<br>ზარალი                           | (251,775)                             | (906,853)                            | (1,300,065)                             | (1,553,806)          | (4,012,499)   |
| <b>კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული<br/>წმინდა მოგება/(ზარალი)</b> | <b>(23,204)</b>                       | <b>(27,166)</b>                      | <b>(145,469)</b>                        | <b>226,660</b>       | <b>30,821</b> |

|                                                                    | ფული და<br>ფულის<br>ექვივალენ<br>ტები | სავაჭრო<br>და სხვა<br>მოთხოვ<br>ნები | სავაჭრო და<br>სხვა<br>ვალდებულ<br>ებები | მიღებულ<br>ი სესხები | სულ 2023         |
|--------------------------------------------------------------------|---------------------------------------|--------------------------------------|-----------------------------------------|----------------------|------------------|
| კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება                              | 202,598                               | 1,369,819                            | 799,127                                 | 1,777,737            | 4,149,281        |
| კურსთაშორისი სხვაობით მიღებული<br>ზარალი                           | (164,259)                             | (875,395)                            | (1,445,711)                             | (2,216,589)          | (4,701,954)      |
| <b>კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული<br/>წმინდა მოგება/(ზარალი)</b> | <b>38,339</b>                         | <b>494,424</b>                       | <b>(646,584)</b>                        | <b>(438,852)</b>     | <b>(552,673)</b> |

### 22. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან

(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

## შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დაქირავებულები ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავე ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავე ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

|                              | წელი 2024        | წელი 2023        |
|------------------------------|------------------|------------------|
| <b>ხელფასები და ბონუსები</b> | <b>1,172,786</b> | <b>1,105,124</b> |

2024 და 2023 წლების განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული სხვა ტრანზაქციები და საბალანსო ნაშთები არ არის არსებითი.

### 23. პირობითი ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია პირობითი ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები.

საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### 24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2025 წლის 29 აგვისტოს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

# მმართველობითი ანგარიშგება

## საქმიანობის მიმოხილვა

შპს ნობლექსი - ს.ნ. 204471561 დაარსდა 2005 წლის თებერვალში.

პარტნიორი - ალექსანდრე ედიბერიძე (65001000147), 100%

დირექტორი - ალექსანდრე ედიბერიძე (65001000147)

სავაჭრო სახელი - „აგროსფერო“



ლოგო -

სლოგანი - აგროსფერო - თანამედროვე ფერმერებისთვის!

## მისია

შპს „ნობლექსი“ 2005 წლიდან მოღვაწეობს აგრობიზნესში და დღესდღეობით წარმოადგენს ერთერთ უმსხვილეს სადისტრიბუციო კომპანიას ამ მიმართულებით. თბილისში, ქვემო ქართლსა და კახეთში წარმოადგენილია მაღაზიათა ქსელით „აგროსფერო“.

ჩვენი მისიაა ხელი შევუწყოთ ქართველ ფერმერებს თავიანთ საქმიანობაში, გავუჩინოთ მოტივაცია, რათა სოფლის მეურნეობას მეტი ხალისით და ენთუზიაზმით ემსახურონ, საკუთარ მიწაზე მოიყვანონ ქართული მოსავალი, რომელიც მათი კეთილდღეობის საფუძველი და ფინანსური სიმდიერის გარანტი გახდება.

ჩვენი წარმატების საიდუმლო პროდუქციის ხარისხი, მომსახურების მაღალი სტანდარტი და ხელმისაწვდომობაა



## პროდუქციის ხარისხი

მომხმარებელთა კომფორტისთვის „აგროსფერო“-ში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სრული სპექტრი გვაქვს წარმოდგენილი, რაც მათ საშუალებას აძლევს ყველაფერი ერთიან სივრცეში შეიძინონ, დაზოგონ დრო, ენერგია და მიიღონ მაღალკვალიფიციური კონსულტაცია, რაც საბოლოო ჯამში საუკეთესო შედეგს განაპირობებს. ჩვენი პროდუქციის ასორტიმენტი მოიცავს: მცენარეთა დაცვის საშუალებებს, მინერალურ სასუქებს, აგროტექნიკას, სათესლე მასალას, წვეთოვანი მორწყვის სისტემებს, სამუშაო იარაღებსა და ფერმერისთვის საჭირო სხვა პროდუქციას, ასევე დანადგარებისა და დამხმარე მასალების ფართო სპექტრს ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოებისთვის. საქართველოში წარმოვადგენთ მსოფლიოს ლიდერ 20-ზე მეტ კომპანიას სხვადასხვა მიმართულებით: მცენარეთა დაცვის საშუალებები - Bayer AG, მინერალური სასუქები - Yara, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა - Claas, სათესლე მასალა - Saatbau, Nunhems, წვეთოვანი მორწყვის სისტემები - Irritec, ფილტრაციის სისტემები - Pall, მუხის კასრები და დამხმარე მასალები - Seguin Moreau და სხვა.

## მომსახურების მაღალი სტანდარტი

„აგროსფერო“-ს მაღაზიათა ქსელში შეძენილ პროდუქციას, თან ერთვის მაღალკვალიფიციური კონსულტაცია, რომელიც მიმართულია საუკეთესო შედეგისკენ.

ჩვენი მიზანი მომხმარებლებისთვის შეთავაზებული მომსახურებით მიღებული საუკეთესო შედეგია, რადგან მნიშვნელოვანია, ურთიერთობა მომხმარებელთან ერთჯერადი მომსახურებით არ შემოიფარგლოს, არამედ გრძელვადიანი, საერთო შედეგზე ორიენტირებული პარტნიორობის სახე მიეცეს.

იმისათვის რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ, მხარში ვუდგავართ ფერმერებს, ვახორციელებთ მათი მეურნეობების მონიტორინგს, ყოველთვის ადგილზე ვეცნობით არსებულ მდგომარეობას, ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას და ვეხმარებით მოსავლის დაგეგმვაში.


ფერმერის უხვი მოსავალი „აგროსფერო“-ს წარმატებაა!

## ხელმისაწვდომობა

კომპანიის ცენტრალური ოფისი და საწყობი მდებარეობს თბილისში. პროდუქცია წარმოდგენილია „აგროსფერო“-ს სერვისცენტრებში და ოფიციალურ პარტნიორებთან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

„აგროსფერო“ დაარსების დღიდან მუდმივად ვითარდება და განაგრძობს წინსვლას, დღეს შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ „აგროსფერო“ მომხმარებლებისთვის ასოცირდება პროფესიონალიზმთან და მაღალი ხარისხის პროდუქციასთან.

## ნობლექსი - აგროსფერო



### კომპანიის განვითარების გეგმები

1. ასორტიმენტის განვითარება:
  - ✓ ახალი პროდუქტების შერჩევა
  - ✓ ახალი პროდუქტების დანერგვა
  - ✓ სწორი ფასდადება
2. ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა
  - ✓ ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება
  - ✓ მიმდინარე მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა
  - ✓ მომსახურების ხარისხის კონტროლი და განვითარება
3. გაყიდვების სტიმულირება
  - ✓ ბრენდის განვითარება
  - ✓ სავაჭრო ქსელის განვითარება
  - ✓ მომხმარებლების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება (როგორც კორპორატიული, ასევე საცალო გაყიდვების კუთხით)

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიას კვლევები არ განუხორციელებია.

## 2024 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და ღონისძიებები:

- შევაჯამეთ გასული სეზონის კამპანია “მზადება დიდი შემოდგომისთვის” და ახალი სეზონის დაწყების წინ ფერმერებს მივეცით მოტივაცია, რომ უფრო დიდი ძალისხმევით ჩაერთონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში თავიათნ ნაკვეთებზე:  
<https://www.facebook.com/Agrosphere.ge/videos/7763541203662100/>
- გასული წლების მსგავსად, აგრარული უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთან შორის გამოვავლინეთ აგროსფეროს სტიპენდიანტები, თუმცა ამჯერად 3-ის ნაცვლად 6 სტიპენდიანტი გვყავდა:  
<https://commersant.ge/news/society/agrosferom-stipendia-agraruli-universitetis-kidev-6-students-daunishna>
- საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობის გამო, რომლის ფარგლებში ყოველწლიურად გვყავს სტიპენდიანტები, სტაჟიორები და ასევე ვასპონსორებთ აგრარული უნივერსიტეტის სპეციალურ პრაქტიკულ საგანს “აგროპროექტს”, უნივერსიტეტში გამართულ დასაქმების ფორუმზე, გადმოგვეცა სპეციალური ჯილდო, თანამედროვე აგრო-განათლების მხარდაჭერისთვის:  
<https://www.facebook.com/photo/?fbid=703794388601289&set=a.555703040077092>
- მაისში დავიწყეთ ვიდეო კამპანია „ჩემი ფერმიდან“, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მასშტაბით ვსტუმრობდით სხვადასხვა კულტურის მეურნეობას და ვაცნობდით თანამედროვე ფერმერების საქმიანობას:  
<https://facebook.com/reel/731956045683779/>  
<https://facebook.com/reel/428489376720226/>  
<https://facebook.com/reel/2732408363588703/>
- კახეთში, ქვემო ქართლსა და იმერეთში, გაიმართა სიმინდის სადემონსტრაციო დღე “ზაირენა 2024”, სადაც მოწვეულმა ფერმერებმა, ნაკვეთში იხილეს სათესლე მასალის, გამოყენებული მცენარეთა დაცვისა და კვების საშუალებების, გამოყენებული ტექნიკისა და ჩატარებული აგრო-ტექნიკური სამუშაოების შედეგები  
<https://facebook.com/Agrosphere.ge/videos/481825958006261/>  
<https://facebook.com/Agrosphere.ge/videos/1067311684922111/>
- დავასპონსორეთ არტიზანული ღვინის ფესტივალი:  
<https://bm.ge/news/agrosferos-sponsorobit-artizanuli-ghvinis-festivali-2024-gaimarta>
- წინა წლების მსგავსად, 2024 წელსაც ვაგრძელებდით აგრარულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობას და მათ შორის “აგროპროექტის” სპონსორობას:  
<https://bp.ge/news/soflis-meurneoba/agroproeqti-sagani-romelits-studentebs-praqtikuli-tsodnis-gaghrmavebashi-ekhmareba>
- მთელი წლის განმავლობაში, მომხმარებლებს ვთავაზობდით ფასდაკლებებს სეზონითვის შესაბამის პროდუქციაზე:  
<https://www.facebook.com/Agrosphere.ge/posts/pfbid0BMPvAoWV5hW4633GaT9MC75Znmfb9wZNKbMAtjZRqRaqXMQmVvRScn9zmzmjeXJzl>  
<https://www.facebook.com/Agrosphere.ge/posts/pfbid0Rj76Vy9zFc3JcwATL5TNKu9SY5S6R9CosuJ2aVBBFcNWeJ5GHXSHzcxqxcvSP23ul>  
<https://facebook.com/Agrosphere.ge/videos/1106188354251773/>  
<https://www.marketer.ge/agrosfero-wine-satsarmoo-inventari/>

კომპანიის წინაშე მდგარი ამოცანები:

1. კორპორატიული კლიენტების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება
  - ✓ სპეციფიკის მიხედვით ოპტიმალური შეთავაზებების მომზადება და კომუნიკაცია;
  - ✓ მომხმარებლებთან უკუკავშირი;
  - ✓ არსებულ კლიენტებთან ურთიერთობის განვითარება;
  - ✓ ბრენდის ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა;
  - ✓ დილერების ქსელის გაფართოვება;
  - ✓ დილერებთან ურთიერთობის განვითარება.
2. მომსახურების მაღალი ხარისხი
  - ✓ კადრების შერჩევა და უწყვეტი სწავლება;
  - ✓ მომსახურების ხარისხის კონტროლი;
  - ✓ მომსახურების სტანდარტების განსაზღვრა და დანერგვა.
3. ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება
  - ✓ პროდუქციის მარაგებზე მოთხოვნებისა და პროგნოზების განსაზღვრა (გაყიდვების პროგნოზირების მიხედვით);
  - ✓ ლოჯისტიკის ეფექტური მუშაობა;
  - ✓ შესყიდვების განხორციელება;
  - ✓ საწყობებში და საწყობებს შორის მარაგების ეფექტიანი მართვა.
4. საცალო მომხმარებლების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება
  - ✓ ქსელის გაფართოვება;
  - ✓ ბრენდის ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა;
  - ✓ პირდაპირი კომუნიკაცია;
  - ✓ უკუკავშირი მომხმარებლებთან;
  - ✓ კლიენტების მონაცემთა ბაზების განვითარება.
5. ასორტიმენტის განვითარება
  - ✓ ახალი პროდუქტების მოძიება და გაყიდვების პოტენციალის ანალიზი;
  - ✓ ახალი პროდუქტების დანერგვა;
  - ✓ არსებული პროდუქტების გაყიდვების ანალიზი და გამოუყენებელი პოტენციალის შეფასება;
  - ✓ ფასწარმოქმნა;
  - ✓ ახალი პროდუქტების რეგისტრაცია.
6. ქსელის განვითარება
  - ✓ პოტენციური რეგიონების/რაიონების გამოყოფა და სპეციფიკის შესწავლა;
  - ✓ არსებული მაღაზიების გაყიდვების ანალიზი რეგიონების/რაიონების მიხედვით;
  - ✓ ბაზარზე გაყიდვების ანალიზი;
  - ✓ რაიონებში მაღაზიისთვის ტერიტორიის შერჩევა;
  - ✓ მაღაზიების დაგეგმარება და სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების წარმოება.
7. ფინანსური ეფექტიანობის უზრუნველყოფა
  - ✓ ბიუჯეტირება;
  - ✓ ფინანსური და ოპერაციული რისკების მართვა;
  - ✓ ახალი პროდუქტებისა და პროექტების ფინანსური საინვესტიციო ანალიზი;
  - ✓ სწორი ფასწარმოქმნა;
  - ✓ გამართული ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება.

## **ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ**

შპს ნობლექსს არ გააჩნია ფილიალები. აქვს საბითუმო საწყობი, სათაო ოფისი, რომელიც განთავსებულია მისამართზე: თბილისი, კახეთის გზატკეცილი 155

ასევე აქვს მაღაზიათა ქსელი (სერვის ცენტრები) შემდეგ მისამართებზე:

- 1) თბილისი, კახეთის გზატკეცილი 153
- 2) გურჯაანი, თავისუფლების 66
- 3) გურჯაანი, სოფ. ახაშენი (ცენტ. გზატკეცილი)
- 4) ყვარელი, მეურნეობის დასახლება
- 5) ლაგოდეხი, აფენის ბაზრობასთან
- 6) თელავი, აღმაშენებლის გამზ. შესახვევი II
- 7) მარნეული, სოფ. წერეთელი

## **კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ**

კომპანიის წინაშე არსებული მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები, მითუმეტეს როდესაც მარაგების უდიდესი ნაწილი არის იმპორტირებული და მომწოდებლებთან ანგარიშსწორება გვიწევს უცხოურ ვალუტაში. გარდა ამისა კომპანიას სესხების ნაწილი აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, სავალუტო რისკიდან მიღებული ზარალის ალბათობაც საკმაოდ მაღალია. ბოლო წლებში გლობალური გამოწვევაა ინფლაცია და ფასების ზრდის მონაცემმა საქართველოს მსაგსად არაერთ ქვეყანაში პროგნოზირებულს გადააჭარბა.

სავალუტო რისკის შესამცირებლად საქონლის კრედიტში გაყიდვის შემთხვევაში კლიენტებთან ხელშეკრულება უმეტესად იდება ვალუტაში და შესაბამისად ანგარიშსწორება ხდება ვალუტის შესაბამისი ექვივალენტით ლარში.

ლიკვიდობა ნებისმიერი კომპანიისთვის რისკია. კომპანია მიღებული მოგების პრაქტიკულად სრული რეინვესტირებით ცდილობს მაქსიმალურად შეიმციროს ეს რისკი.

კომპანიას საქმიანობა უწევს საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაბამისად არსებობს საბაზრო რისკიც. აღნიშნულის პრევენციისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს შეინარჩუნოს მაღალი ხარისხი და იყოს ორიენტირებული მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

ასევე მნიშვნელოვანია დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკი. აღნიშნული რისკის შესამცირებლად მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი და პრევენცია სხვადასხვა საშუალებებით.

## **საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია**

შპს ნობლექსს საკუთარი აქციები არ გააჩნია

**ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.**



შპს ნობლექსი თავის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობას აფინანსებს როგორც საკუთარი, ისე ფინანსური ინსტიტუტებისაგან მოზიდული სახსრებით. შესაბამისად აქვს ფინანსური რისკები ამ მიმართულებითაც. აღნიშნული რისკის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის პოლიტიკა არის შემდეგნაირი: სესხის საჭიროების შემთხვევაში განიხილავს იმ დროისთვის საფინანსო ბაზარზე არსებულ სიტუაციას და გადაწყვეტილებას იღებს საუკეთესო შეთავაზების სასარგებლოდ; ასევე სესხები დივერსიფიცირებულია სხვადასხვა ვალუტაში.

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მინიმიზაციისთვის კომპანიის რეგულარულ მომხმარებლებს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით წლის დასაწყისში უდგინდება საკრედიტო ლიმიტები, რომელიც შეტანილია პროგრამულად და გაყიდვების პერსონალს არ აძლევს მისი გადაჭარბების საშუალებას. ასევე ვიყენებთ საფინანსო ინსტიტუტების მომსახურებას საქონლის განვადებით გაყიდვისთვის. ამით შეძლებისდაგვარად ვზღუდავთ დებიტორული დავალიანების ზრდას;

ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღების მიზნით კომპანიის მხრიდან ხდება გაფრთხილება რამდენჯერმე, რისი უგულვებელყოფის შემთხვევაში იძულებული ვართ მივმართოთ კანონით გათვალისწინებულ სხვა საშუალებებს, მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ვახორციელებთ გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ პრევენციას და კონტროლს. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1) ვაკანსიის გამოცხადება; 2) პირველადი შერჩევა CV-ს საშუალებით; 3) გასაუბრება; 4) შერჩეული კანდიდატების აყვანა 3-6 თვიანი გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კანდიდატი კომპანიის შტატიანი თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრენინგი/სემინარების საშუალებით. თითოეულ თანამშრომელს გაწერილი აქვს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულია მის უშუალო ხელმძღვანელთან. შესაბამისად ყველა არასტანდარტული შემთხვევა თანხმდება მასთან. გარდა ამისა თანამშრომლების მოტივაციისთვის მოქმედებს საბონუსო სისტემა და სხვა სამოტივაციო საშუალებები.


### დადებითი გარემო ფაქტორები

აგროსფეროს საქმიანობის სფეროდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქვეყნისთვის პრიორიტეტულია სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელიც დადებითად ისახება როგორც ამ სფეროში მოღვაწე ფერმერისთვის, ასევე მიმწოდებელი კომპანიებისთვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს: მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა, თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა, დანერგე მომავალი, შეღავათიანი აგროკრედიტი, აგროდაზღვევა და სხვა (პროექტების სრულად ნახვა შესაძლებელია მისამართზე <https://rda.gov.ge/ge/programs>).

აღნიშნული პროექტები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებებით, რომელიც დადებითად ისახება ამ სფეროში ბაზრის ზრდაზე.

დირექტორი

ალექსანდრე ედიბერიძე



ფინანსური დირექტორი

ნელი ხმელიძე



29 აგვისტო, 2025